

<p style="text-align: center;">ხელშეკრულება №1/291 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ</p> <p>ქ.თბილისი 15 ივნისი, 2016 წელი</p>	<p style="text-align: center;">Contract #1/ 291 ON PUBLIC PROCUREMENT</p> <p>TBILISI 15 June 2016</p>
<p style="text-align: center;">ხელშეკრულების მხარეები</p> <p>ერთის მხრივ სსიპ „შემოსავლების სამსახური“, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16; ს/კ 204525585; მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 707017019, წარმოდგენილი ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ “ფრაისვოთერპაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი. ვი-ს ფილიალი საქართველოში” (შემდგომში მიმწოდებელი), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ბამბის რიგის ქ. #7.; ტელეფონის ნომერი: 2-50-80-50; ს/კ: 204482577, სს „თბილისი ბანკის“ მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი: TBCBGE22, ა/ა: GE24TB1100000107603707, წარმოდგენილი მისი მმართველი პარტნიორის ალტაფ ტაპიას სახით.</p>	<p style="text-align: center;">Parties to the Contract</p> <p>On the one hand a legal entity of public law - Revenue Service, legal address: Tbilisi, #16 Gorgasali str., Identification #204525585, Receiver Bank – State Treasury; Receiver – Treasury Account, Bank Code- TRESGE22, Receiver account/Treasury Code – 707017019, represented by the Head of Finance Department George Gomareli (hereinafter - Contracting Authority) and, on the other hand “PricewaterhouseCoopers Central Asia and Caucasus B.V. Branch in Georgia”, legal address: Tbilisi, #7 Bambis Rigi street; phone:2-50-80-50, Identification #204482577, TBC Bank – Marjanishvili Branch, Code: TBCBGE22, account: GE24TB1100000107603707 represented by Managing Partner Altaf Tapia (hereinafter – Supplier), in compliance with the legislation of Georgia agreed on the execution and the terms of the Contract on Public Procurement.</p>
<p style="text-align: center;">1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი</p> <p>1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურებიდან მიღებული შემოსულობებით კვლევასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა (CPV73200000 - კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის #1131 განკარგულების საფუძველზე.</p> <p>1.2. შესყიდვის ობიექტია „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების განხორციელებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა, რაც მოიცავს:</p> <p>ა) საქართველოში ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების</p>	<p style="text-align: center;">1. Subject-matter and Object of the Procurement</p> <p>1.1 The Subject matter of the Contract is a purchase of consulting service related to the research by the revenues received from the service of Revenue Service (CPV73200000 - consulting services related to the researches and development) under simplified procurement according to the article 10¹ (3.d) of Law on Public Procurement and the Ordinance #1131, 13 June 2016 of the Government of Georgia.</p> <p>1.2 The Object of the contract is purchase of consulting service related to organization and execution of Lottery in Georgia in accordance with the “Law on Arrangements of Lottery, Gambling and Winning Games” of Georgia, which includes:</p> <p>a) Determination of initial price (determination of the initial minimum amount that shall be made</p>

<p>მოპოვებისათვის სახელმწიფოს ბიუჯეტში გადასახდელი თანხის საწყისი მინიმალური ოდენობის განსაზღვრას;</p> <p>ბ) საქართველოში ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის ჩასატარებელი ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინების მიზნით, სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისთვის საბანკო გარანტიების ოდენობების განსაზღვრას;</p> <p>გ) ყოველკვარტალურად რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების პროცენტის ოდენობის განსაზღვრა, რომელიც ლატარიის ორგანიზატორმა ყოველკვარტალურად უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;</p> <p>1.3. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გასაწევი მომსახურების აღწერა (დანართი #1) თან ერთვის ამ ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.</p>	<p>in the budget for obtaining the exclusive right to organize and carry out Lottery in Georgia);</p> <p>b) Determination of tender proposals and the amount of bank guarantees securing contract performance in order to stipulate in tender documents for obtaining exclusive right to organize and carry out Lottery in Georgia.</p> <p>c) Consulting service related to determination of percentage of total values of tickets sold quarterly, which shall be paid into the budget by the organizer of Lottery.</p> <p>1.3 The description of the service (Annex #1) is attached to this Contract as an essential part of it.</p>
<p>2. ხელშეკრულების ღირებულება</p> <p>2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 70 800 (სამოცდაათი ათას რვაასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.</p>	<p>2. Contract Price</p> <p>2.1 Total Price of the Contract (including expenses and taxes (VAT etc.) stipulated under this Contract) amounts USD 70 800 equivalent in Lari at exchange rate of the National Bank of Georgia effective in the date of payment.</p>
<p>3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი</p> <p>3.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი.</p> <p>3.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს შემდეგი თანამშრომლები: ელგუჯა ლოლიაშვილი, თეონა შიუკაშვილი და თინათინ დუჩიძე, მიმწოდებლის საოფისე შენობების გარეთ. შესრულების კონტროლის შემდგომ გამოიცემა ინსპექტირების აქტი.</p> <p>3.3. თუ შემსყიდველს აქვს კომენტარები/შენიშვნები გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით, მან ეს უნდა განაცხადოს ხელმოსაწერად წარდგენილ მიღება-</p>	<p>3. Inspection of the Contract Performance</p> <p>3.1 The Contracting Authority carries out inspection over the fulfillment of contractual obligations.</p> <p>3.2 Employees of Revenue Service: Elguja Loliashvili, Teona Shiukashvili and Tinatin Duchidze will carry out the inspection over the fulfillment of contractual obligations outside of Supplier's office premises. After inspection the Act of Inspection shall be issued.</p> <p>3.3 In case of any comments on service performance at the side of Contracting Authority, they must be justified by the sending of written refusal to sign the Act of Acceptance, stipulating reasons for such refusal, which</p>

<p>ჩაბარების აქტზე დასაბუთებული, წერილობითი უარის გაგზავნით, შესაბამისი მიზეზების მითითებით, რაც მიმწოდებელს უნდა მიეწოდოს მიღება-ჩაბარების აქტის მიწოდებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.</p> <p>3.4 მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შემსყიდველის შენიშვნების/კომენტარების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღისა საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.</p>	<p>shall be reached to the Supplier within 3 (three) working days after providing the Act of Acceptance.</p> <p>3.4 The Supplier is obliged to eliminate at its own expenses any defect detected during the inspection immediately but not later than within 5 (five) working days from the reception of Contracting Authority's comments.</p>
<p>4. მომსახურების გაწევის ვადები</p> <p>4.1. მომსახურების გაწევა (მოწოდება) უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) კვირის ვადაში.</p>	<p>4. Terms of Service Performance</p> <p>4.1 Service shall be provided within 4 (four) weeks from the execution of the Contract.</p>
<p>5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი</p> <p>5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.</p> <p>5.2 თუ შემსყიდველი თავს არიდებს მომსახურების მიღებას მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაგზავნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ან ვერ მოახერხებს მითითებულ პერიოდში ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის ან დასაბუთებული უარის გაგზავნას მიმწოდებლისათვის, მომსახურება ჩაითვლება შემსყიდველის მიერ მიღებულად. შესაბამისად, შემსყიდველი კარგავს პრეტენზიის უფლებას, ვალდებულია ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს და სრულად გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.</p> <p>5.3. იმ შემთხვევაში თუ დანართი N1-ის მიხედვით გათვალისწინებული მომსახურება/შესასრულებელი სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევის ვადაში სრულად არ იქნა შესრულებული, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.</p> <p>5.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული სამუშაო (შექმნილი</p>	<p>5. The Acceptance of Procurement Object</p> <p>5.1 The Object is deemed to be accepted only after signing the Act of Acceptance by the authorized representatives of the parties.</p> <p>5.2 If Contracting Authority evades to accept service within 5 (five) working days from the sending of Act of Acceptance, or can not send signed Act or justified refusal in this period, the Service shall be deemed as accepted by the Contracting Authority. Therefore, contracting Authority loses its right to claim, shall sign Act of Acceptance and shall make payment totally for provided Service.</p> <p>5.3 If Service stipulated under Annex #1 is not performed completely in the timeline determined by the Contract, the penalties according to the article 13.1 of the Contract will be imposed on the Supplier.</p> <p>5.4 After performance of the Service, the Supplier is obliged to provide the Contracting Authority with the performed service (report/documents), Act of Acceptance and VAT Invoice.</p>

<p>დასკვნა/დოკუმენტები), მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.</p> <p>5.5. ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16, სსიპ „შემოსავლების სამსახური“.</p> <p>5.6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.</p>	<p>5.5 The Supplier shall provide the documents stipulated in 5.4 article on the following address: Tbilisi, #16 Gorgasali str. Revenue Service.</p> <p>5.6 The Deputy of the Head of the Financial Department of Revenue Service is entitled to sign the Act of Acceptance and Act of Inspection.</p>
<p align="center">6. ანგარიშსწორება</p> <p>6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.</p> <p>6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.</p> <p>6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის საფუძველზე, არაუგვიანეს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.</p>	<p align="center">6. Terms of Payment</p> <p>6.1 Payment will be made through non-cash basis in GEL.</p> <p>6.2 Payment will be made on the Supplier's bank account.</p> <p>6.3 Payment will be made on the grounds of Inspection Act, final Act of Acceptance and VAT Invoice (formed according to article 5.4) within 10 (ten) calendar days from the date of the signing the Act of Acceptance.</p>
<p align="center">7. მხარეთა ვალდებულებები</p> <p>7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:</p> <p>7.1.1 გაუწიოს „შემსყიდველს“ უნაკლო მომსახურება;</p> <p>7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს 1.2 მუხლით განსაზღვრული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;</p> <p>7.1.3. უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა არაუგვიანეს 3.4. მუხლით განსაზღვრულ ვადაში.</p> <p>7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:</p> <p>7.2.1. უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულების 2.1 და 6 მუხლების მიხედვით;</p> <p>7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.</p> <p>7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.</p>	<p align="center">7. Obligations of the Parties</p> <p>7.1 The Supplier is obliged to:</p> <p>7.1.1 Provide Service with Contracting Authority without any defects.</p> <p>7.2.1 Perform the Service stipulated in article 1.2 for Contracting Authority in accordance with the terms of the Contract.</p> <p>7.1.3 Eliminate defects no later than within the time limit determined by the article 3.4.</p> <p>7.2 The Contracting Authority is obliged to:</p> <p>7.2.1 Make payment according to the articles 2.1 and 6 of the Contract.</p> <p>7.2.2 Consider in time the problems arisen by the Contracting Authority related to the Contract Performance.</p> <p>7.2.3 Adhere to all terms and conditions set forth in the Contract.</p>

<p align="center">8. მხარეთა უფლება</p> <p>8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:</p> <p>8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს ანგარიშსწორება ხელშეკრულების 2.1 და 6 მუხლების მიხედვით.</p>	<p align="center">8. Right of the Parties</p> <p>8.1 The Supplier has right to:</p> <p>8.1.1 Demand payment according to the articles 2.1 and 6 of the Contract.</p>
<p align="center">9. ფორს-მაჟორი</p> <p>9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;</p> <p>9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.</p> <p>9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.</p>	<p align="center">9. Force-Majeure</p> <p>9.1 If the Contractual Provisions are suspended because of Force majeure, penalties stipulated in the contract do not apply since this cannot be deemed as a breach of contract.</p> <p>9.2 Force majeure means unforeseeable, independent, unavoidable events, which are beyond the parties' control and are not caused due to parties' mistakes or negligence. Such events can be - War, natural disasters, epidemics, quarantine and embargo on the supply of goods, the sharp decline of the budget appropriations etc.</p> <p>9.3 The party, who cannot fulfill the obligation because of Force-Majeure, must immediately notify the other party in writing of such circumstances and the reasons thereof. If the sender side does not receive a written response from the other Party, at its own discretion, with considering relevance and capabilities of its contractual obligations tries to find alternative methods to fulfill the obligation, which shall be free from the influence of force majeure.</p>
<p align="center">10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა</p> <p>10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების</p>	<p align="center">10. Amendments to the Contract</p> <p>10.1 If it is necessary to change contractual terms because of unforeseeable reasons, the amending party shall notice the other party about this information in</p>

<p>შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.</p> <p>10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.</p> <p>10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.</p> <p>10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.</p>	<p>writing. The Contracting Authority is not obliged to serve the Supplier with the documents proving the necessity of the making amendments.</p> <p>10.2 The Contract Price can be changed only in accordance with the article 398 of Civil Code of Georgia.</p> <p>10.3 In case of the circumstance stipulated in the article 398 of Civil Code, total Contract Price can not grow more than 10%.</p> <p>10.4 All amendments shall be formed in writing and they become essential parts of the Contract.</p>
<p>11. სადავო საკითხების გადაწყვეტა</p> <p>11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.</p> <p>11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.</p>	<p>11. Dispute Resolution</p> <p>11.1 The Supplier and the Contracting Authority shall try to solve all disputes arising out and in connection of the Contract through negotiations.</p> <p>11.2 If the disputes arising out of the Contract cannot be solved by negotiations, they will be resolved by the Courts of Georgia.</p>
<p>12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება</p> <p>12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ ხუთი</p>	<p>12. Hardship</p> <p>12.1 In case of any hardship, which hinders the Contract Performance, the party shall notify the other party immediately in writing form indicating the fact, duration and reasons of the hardship. The notified party shall inform the other party about its decision related to the hardship within 5 (five) days. In case the parties agree to expend the deadline of Contract Performance, this decision shall be formed in writing as an amendment (agreement) into the Contract.</p>







<p>დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.</p>	
<p align="center">13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა</p> <p>13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა ან არასრულად განხორციელდა შესაბამისი მომსახურების გაწევა, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირსაგამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) %-ისა.</p> <p>13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრული შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.</p> <p>13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) %-ისა.</p>	<p align="center">13. Non-Fulfillment of Contractual Obligations</p> <p>13.1 In case of non-fulfillment (partly or totally) of the Service as stipulated in the Contract, Contracting Authority is entitled to impose on the Supplier penalty of 0.1% of Contract Price in delay day but no more than 3% (three per cent) of the Contract Price.</p> <p>13.2 If the imposed penalties for non-fulfillment of the Service performance of the Contract exceeds of 3% of the Contract Price, the other party can terminate the Contract.</p> <p>13.3 If Contracting Authority does not fulfill requirements of 6.3 Clause in determined time, the Supplier is entitled to impose penalty of 0.1% of outstanding amount on the Contracting Authority per each delay day but no more than 3% (three per cent) of the Contract Price.</p>
<p align="center">14. ხელშეკრულების შეწყვეტა</p> <p>14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილი იქნეს:</p> <p>14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;</p> <p>14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;</p>	<p align="center">14. Termination of Contract</p> <p>14.1 The Contract can be terminated:</p> <p>14.1.1 by the agreement between the parties;</p> <p>14.1.2 if the one party does not fulfill its obligations during 10 (ten) calendar days.</p>

<p>14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;</p> <p>14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p>	<p>14.1.3 by either party within 10 (ten) calendar days after notifying the other party in writing.</p> <p>14.1.4 in other occasions stipulated under the legislation of Georgia.</p>
<p>15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა</p> <p>15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 19 აგვისტომდე.</p>	<p>15. Duration of the Contract</p> <p>15.1 The Contract comes into force from the date of its signing and is valid until 19 August 2016.</p>
<p>16. პასუხისმგებლობა</p> <p>16.1 თუ სხვა რამ არ არის მხარეთა შორის წერილობით შეთანხმებული, მიმწოდებელი მომსახურებასა და მიწოდებულ მასალებთან დაკავშირებით, პასუხს აგებს მხოლოდ, შემსყიდველის წინაშე.</p> <p>16.2 შემსყიდველი თანახმაა, რომ მიმწოდებელი პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარი ბრალეული მოქმედებისა თუ უმოქმედობის გამო. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა (პირგასამტეხლოს ჩათვლით) მიწოდებულ მომსახურებასა და მასალებთან დაკავშირებულ პრეტენზიებთან მიმართებით (რაც მოიცავს გაუფრთხილებლობასაც) შემოიფარგლება მომსახურების ღირებულების ერთმაგი ოდენობით ან ფაქტობრივი ზიანის ოდენობით იმის მიხედვით, თუ რომელიც უფრო მცირეა.</p>	<p>16. Liability</p> <p>16.1 The Supplier accepts no liability to anyone, other than the Contracting Authority, in connection with the services and deliverables, unless parties agree otherwise.</p> <p>16.2 The Contracting Authority agrees that the Supplier will be liable only when the Supplier is at fault for its actions or omissions. The Supplier's total liability (including penalties) for all claims connected with the services or the agreement (including but not limited to negligence) is limited to single amount of the Service price or the actual damages whichever is the lesser.</p>
<p>17. პერსონალური მონაცემები</p> <p>17.1 თუ შემსყიდველი მიმწოდებელს მიაწვდის პერსონალურ ინფორმაციას, შემსყიდველი ვალდებულია პირველ რიგში მოიპოვოს თანხმობა პერსონალური მონაცემის სუბიექტისგან მისი პერსონალური ინფორმაციის მიმწოდებლის ან სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობაში ჩართული პირისთვის გადაცემისა და დამუშავების შესახებ. თავის მხრივ, მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველის მიერ გადაცემულ პერსონალურ მონაცემებს გამოიყენებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პრინციპების შესაბამისად, კონფიდენციალურობის გათვალისწინებით. სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, მიმწოდებელს უფლება აქვს დაამუშავოს პერსონალური ინფორმაცია</p>	<p>17. Personal data</p> <p>17.1 If for provision of services under the agreement the Contracting Authority provides the Supplier with personal data, the Contracting Authority will first obtain consent from the data subjects for the transfer of personal data to the Supplier and for the processing of personal data by the Supplier and any engaged party specified in the agreement. If the Supplier receives personal data from the Contracting Authority, the Supplier undertakes to respect the principles and rules of the processing of such personal data prescribed by legislation of Georgia, including those related to their confidentiality and protection. While fulfilling its obligations under the agreement the Supplier may perform any actions defined as processing of personal data in legislation of Georgia, including cross-border transfer, during the effective term of the confidentiality obligations prescribed by the agreement for the purposes of (i) providing the services and internal quality reviews, and (ii) maintaining the Supplier's information systems, including the use of outsource IT providers.</p>

<p>საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სახით, მათ შორის ხელშეკრულებით დადგენილი კონფიდენციალურობის მოვალეობის მოქმედების განმავლობაში გადასცეს ეს ინფორმაცია საზღვარგარეთ შემდეგი მიზნებით ა) მომსახურებისა და შიდა ხარისხის შესაფასებლად და ბ) მიმწოდებლის ინფორმაციული სისტემის შესანარჩუნებლად, მათ შორის გარე IT პროვაიდერებს.</p>	
<p style="text-align: center;">18. კონფიდენციალურობა</p> <p>18.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ერთმანეთის კონფიდენციალური ინფორმაცია არ გამჟღავნონ და გამოიყენონ მხოლოდ მომსახურების მიზნებისათვის (შემსყიდველი უფლებამოსილია შესრულებული სამუშაო და შესაბამისი დოკუმენტები წარუდგინოს საქართველოს მთავრობას), გარდა იმ შემთხვევისა როცა ა) გამჟღავნება მოთხოვნილია კანონით ან იმ პროფესიული ორგანიზაციის მიერ, რომლის წევრიც არის მიმწოდებელი ან მისი თანამშრომელი, ან ბ) ინფორმაციის გამჟღავნება ხდება მიმწოდებლის სამართლებრივი მრჩეველის ან სადაზღვევო კომპანიისთვის. მიმწოდებელი კონფიდენციალურ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის ფორმებს, ქვეკონტრაქტორებსა და მომსახურების გამწევთ იმ პირობით, რომ ისინი იღებენ კონფიდენციალურობის მოვალეობას, ასევე, შემსყიდველის მრჩეველებს, რომლებიც ჩართული არიან შესაბამის საქმეში. კონფიდენციალურობის მოვალეობა ძალაშია სამი წლის განმავლობაში მისი მიღებიდან. აღნიშნული არ ეხება ინფორმაციას, რომელიც ა) საჯაროდ ხელმისაწვდომია, ან ბ) მიღებულია სხვა პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია არავითარი კონფიდენციალურობის დაცვის მოვალეობა, ან გ) მიმღები მხარის მიერ მანამდე იყო ცნობილი.</p> <p>18.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაიტოვოს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მასალების ასლები, მათ შორის შემსყიდველის ან მისი სახელით მიწოდებული მასალების ჩათვლით.</p>	<p style="text-align: center;">18. Confidentiality</p> <p>18.1 The parties agree to use each other's confidential information only in relation to the services, and not to disclose it without prior written consent (The Supplier is entitled to serve performed service and relevant documents with the government of Georgia), except i) where required by law or regulation or by a professional body of which the Supplier or its staff are members, or ii) to the Supplier's legal advisors or insurers. However, the Supplier may give confidential information to Supplier's other firms or relevant subcontractors or service providers as long as they are bound by confidentiality obligations, and to the Contracting Authority's advisers who are involved in the relevant matter. The obligations to keep the information received in connection with the agreement confidential shall remain in legal effect for three years after receipt of such information. The above will not apply to information which (i) is publicly available, or (ii) has been received from someone else who owes no duty of confidence in relation to it, or (iii) was already known by the receiving party.</p> <p>18.2 The Supplier may retain copies of all materials relevant to the services, including any materials given to the Supplier by the Contracting Authority or on its behalf.</p>
<p style="text-align: center;">19. განსაკუთრებული პირობები</p> <p>19.1. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენებზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული</p>	<p style="text-align: center;">19. Special Terms</p> <p>19.1 The Contract is executed in Georgian and English languages in three copies with same legal force. In case of disputes, Georgian contract is prevailing language.</p>

<p>ძალა აქვს. დავის და განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ხელშეკრულებას.</p> <p>19.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“; ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.</p>	<p>19.2 One copy is for the Supplier; two copies are for the Contracting Authority.</p>
<p>„შემსყიდველი“ სსიპ „შემოსავლების სამსახური“ გიორგი გომარელი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი</p>  	<p>Revenue Service Head of Finance Department George Gomareli</p>  
<p>„მიმწოდებელი“ „ფრანსვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასიაში ვი-ს ფილიალი საქართველოში“ ალტაფ ტაპია მმართველი პარტნიორი</p>  	<p>PricewaterhouseCoopers Central Asia and Caucasus B.V. Branch in Georgia Managing Partner Altaf Tapia</p>  

<p style="text-align: center;">დანართი #1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #1/291 ხელშეკრულების შესაბამისად გასაწევი მომსახურების აღწერა</p>	<p style="text-align: center;">Annex #1 (According to the Contract #1/291 on PUBLIC PROCUREMENT)</p>
<p style="text-align: center;">1. შესყიდვის ობიექტი</p> <p>ა) ტენდერის საწყისი ღირებულების განსაზღვრას (საქართველოში ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის სახელმწიფოს ბიუჯეტში გადასახდელი თანხის საწყისი მინიმალური ოდენობის განსაზღვრა);</p> <p>ბ) სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისთვის საბანკო გარანტიების ოდენობების განსაზღვრას;</p> <p>გ) საკონსულტაციო მომსახურებას ყოველკვარტალურად რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების პროცენტის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, რომელიც ლატარიის ორგანიზატორმა უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.</p>	<p style="text-align: center;">1. The Object of the Procurement</p> <p>a) Determination of initial price (determination of the initial minimum amount that shall be made in the budget for obtaining the exclusive right to organize and carry out Lottery in Georgia);</p> <p>b) Determination of tender proposals and the amounts of bank guarantees securing contract performance;</p> <p>c) Consulting service related to determination of percentage of total values of tickets sold quarterly, which shall be paid into the budget by the organizer of Lottery.</p>
<p style="text-align: center;">2. სამუშაო აღწერილობა</p> <p>შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა გულისხმობს შემდეგს:</p> <p>2.1 საქართველოს ბაზრის შესაფასებლად და მასთან შესადარებლად შესაფერისი იურისდიქციის განსაზღვრა, მაგალითად, როგორცაა ბრიტანეთის, ესპანეთის, საბერძნეთის, იტალიის, ონტარიოს, კალიფორნიის, ნიუ-იორკის და სხვ.</p> <p>2.2 მიმდინარე ლატარიის ლიცენზირებასთან/აუტსორსინგულ პრაქტიკასთან დაკავშირებით სხვა იურისდიქციებიდან ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის, ინფორმაცია საფასურების, პერიოდის, ჯარიმების, შემოსავლების განაწილების მოდელების, გათამაშების სახეების და სხვ.)</p> <p>2.3 ლატარიის პრაქტიკასთან დაკავშირებით (მათ შორის საფასურებთან, ლიცენზირებისთვის წინასწარ გადასახდელებთან და სხვ.) შესაბამის იურისდიქციებში PwC-ის გათამაშების ექსპერტებთან გასაუბრება.</p> <p>2.4 პირველი შეხედულების ჩამოსაყალიბებლად და ლიცენზირების პრაქტიკასთან დაკავშირებით</p>	<p style="text-align: center;">2. Scope of Service</p> <p>Scope of Work implies the following:</p> <p>2.1 Identify relevant jurisdictions to assess and compare to the Georgian market e.g. UK, Spain, Greece, Italy, Ontario, California, New York etc.</p> <p>2.2 Gather information from other jurisdictions on current lottery licensing/out sourcing practices (including fees, period, penalties, revenue share models, game types etc.).</p> <p>2.3 Interview PwC gaming experts in relevant jurisdictions to gather data on lottery practices (including fees, up front licensing payments etc.).</p> <p>2.4 Interview lottery operators to gather first hand insights and information on licensing practices (this step is a best efforts only).</p>

<p>პირველადი ინფორმაციის მისაღებად ლატარიის ოპერატორებთან გასაუბრება (ეს ეტაპი განხორციელდება ყველა შესაძლო ძალისხმევით).</p> <p>2.5 შეგროვებული ინფორმაციიდან ანგარიშის მომზადება (15-20 გვერდი „word-ის“ დოკუმენტში) პრაქტიკასა და მიდგომებზე, რომლებიც დაკავშირებულია საკანონმდებლო და რეგულაციურ ცვლილებასთან.</p> <p>2.6 ანგარიში უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს და დაკვირვების შედეგებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება საქართველომ შეცვალოს მიმდინარე ლატარიის პრაქტიკა, განსაკუთრებით, ორიენტირდეს სატენდერო განხილვებზე, საფასურებსა და მიმდინარე საშემოსავლო მოდელებზე.</p> <p>2.7 ანგარიშის 2-3 ციკლიანი მიმოხილვა, რათა მოხდეს მისი შეკვრა და განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.</p> <p>2.8 PwC საქართველო გაუძღვება სამუშაოს და კლიენტის ურთიერთობას ძირითადად PwC კანადის (რომელიც წარმოადგენს PwC-ის გათამაშების მაღალი ხარისხის ერთ-ერთ ცენტრს) მიერ მომზადებულ ანგარიშზე დაყრდნობით და PwC-ის გლობალური გათამაშების ქსელის დახმარებით.</p>	<p>2.5 From gathered information, develop a report (15-20 pages in word) on practices and approaches that can inform legislative and regulatory change.</p> <p>2.6 The report will include recommendations and observations on how Georgia could approach changing its current lottery practices, specifically focused on tender considerations, fees and ongoing revenue models.</p> <p>2.7 Review cycle of the report, 2-3, to tailor it and make relevant changes.</p> <p>2.8 PwC Georgia will lead the work and client relationship, with majority the report developed by PwC Canada, one of PwC's gaming centers of excellence along with support from PwC's global gaming network.</p>
<p>„შემსყიდველი“ სსიპ „შემოსავლების სამსახური“ გიორგი გომარელი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი</p>  	<p>Revenue Service Head of Finance Department George Gomareli</p>  
<p>„მიმწოდებელი“ „ფრანსვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი. ვი-ს ფილიალი საქართველოში“ ალტაფ ტაპია მმართველი პარტნიორი</p>  	<p>PricewaterhouseCoopers Central Asia and Caucasus B.V. Branch in Georgia Managing Partner Altaf Tapia</p> 